„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
______________ ს. ტყემალაძე
15 __________ 2019
დადგენილება № 08/06

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2

i. ცვლილებები 3

ii. ცვლილებების ისტორია 4

iii. მოქმედი გვერდების სია 5

2 დოკუმენტაციის კონტროლი 6

3 ძირითადი ნაწილი 7

მუხლი 1. მეთოდოლოგიის მიზანი 7

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები 7

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება 7

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება 8

მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება 8

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2019					
1	2	0	ივლისი 2019					
i	3	0	ივლისი 2019					
ii	4	0	ივლისი 2019					
iii	5	0	ივლისი 2019					
2	6	0	ივლისი 2019					
3	7	0	ივლისი 2019					
3	8	0	ივლისი 2019					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. მეთოდოლოგიის მიზანი

1. მეთოდოლოგიის მიზანია თუ სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში მათ აქტიურ და შეუფერხებელ ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტის განცხადების საფუძველზე;
2. განცხადებით მიმართვის მიზეზი შეიძლება გახდეს:
   - 2.1. სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
   - 2.2. სტუდენტის ოჯახური მდგომარეობა;
   - 2.3. სტუდენტის განსაკუთრებული მიღწევები სპორტში და ხელოვნებაში;
   - 2.4. სასწავლო კურსით განსაზღვრული წინაპირობები, რომელიც არ იძლევა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სასწავლო კურსების გავლის საშუალებას;
   - 2.5. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების აუთვისებლობა;
   - 2.6. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება;
   - 2.7. სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს:
   - 1.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის.
   - 1.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის.
   - 1.3. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სტუდენტისათვის, რომლის წლიური დატვირთვაც აღემატება 60 კრედიტს, მაგრამ არ აღემატება 75-ს.
   - 1.4. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატება 60 კრედიტს (არაუმეტეს 75 კრედიტისა) სტუდენტი ვალდებულია კონსულტაციისთვის მიმართოს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს და შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც ამ წესით განსაზღვრულ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანშეწონილობის შესახებ.
5. შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტის მიერ შესაბამისი სამედიცინო ცნობის წარმოდგენის საფუძველზე (რომელიც თან ერთვის სტუდენტის განცხადებას).

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილი ხდება სასწავლოო პროცესის რეგულირების სამსახურთან შუამდგომლობის საფუძველზე:
    1. შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების მეთოდები;
    2. სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების ინდივიდუალური სქემა;
    3. განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
    4. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
    5. სტუდენტის შესაძლებლობის შესაბამისად შეცვალოს შეფასების პროცედურები და ფორმები.